ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N20

ქ.თბილისი

29 დეკემბერი, 2022 წელი
საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ზურაბ აბაშიძე
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე
ლევან არველაძე
საბა ბუაძე
ოთარ გრიგოლია
ლევან დავითაშვილი
კონსტანტინე ზარნაძე
ზაზა თავაძე
ნიკოლოზ კახეთელიძე
ცოტნე კობერიძე
კახაბერ ლაბუჩიძე
ნათია მოდებაძე
გურამ ოქროპირიძე
ნინო რუხაძე
ვახტანგ სურგულაძე
გიორგი ჩაკვეტაძე
გივი ჩხარტიშვილი
ნინო წულაძე
ალექსანდრე ხუჯაძე
აკაკი ალადაშვილი
ვლადიმერ ბოჟაძე
ანა გოგოლაძე
მამუკა გუგეშაშვილი
ნინო ვარდოსანიძე
მარიამ ზაქარიაშვილი
ანა კაკაბაძე
სალომე კობალაძე
ზვიად კუპრავა
ლილე ლიპარტელიანი
შალვა ოგბაიძე
ლევან ჟორჟოლიანი
რევაზ სოხაძე
გიორგი შარაშიძე
ზურაბ ჩიკვილაძე
ავთანდილ ცინცაძე
ირაკლი ხელაძე
ლევან ჯაფარიძე

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი ირაკლი თავართქილაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძე;

კრწანისის რაიონის გამგეობის წარმომადგენელი მაია დევრისაშვილი;

შპს „თბილსერვის ჯგუფის“ წარმომადგენელი დავით ჩანქსელიანი.

საკრებულოს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს საკრებულოს წევრებმა.

ცოტნე კობერიძემ განაცხადა, რომ ერთი წელია რაც საკრებულოს წევრია და კარგი იქნება, თუ შემდეგ წელს საკრებულოს სხდომები იქნება ისეთი, როგორიც, დარბაზში არსებული განწყობის მიხედვით, დღევანდელ სხდომას ეტყობა რომ იქნება, რადგან არ არის კამერები და ზოგადად, კარგი იქნება, ერთმანეთთან კამერების წინაც ისე ვიურთიერთოთ, როგორც ვურთიერთობთ კამარების გარეშე. ისაუბრა საკრებულოს საქმიანობაზე და აღნიშნა, რომ გამორჩეულია და „მართლა საქმეს აკეთებს", იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია, ხოლო ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისია, „მომხიბვლელი სახელის" მიუხედავად, გაუგებარია რისთვის არსებობს, რადგან, ძირითადად, ან არ იკრიბებოდა, ან იკრიბებოდა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიასთან გაერთიანებული სხდომის ფარგლებში. მისი აზრით, ამ საკრებულოს აქვს პოტენციალი და რადგან საქართველოს პარლამენტი დევალვირებულია იქ მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გამო, საკრებულომ, როგორც პოლიტიკური ორგანოს, მნიშვნელობამ უფრო დიდი როლი შეიძინა და ამიტომ, მეტი პასუხისმგებლობითაც შეიძლება შევხედოთ ამ საკითხს. ასევე, ისაუბრა საკრებულოს წინა სხდომაზე და განაცხადა, რომ მის თანხმლებ ერთ ადამიანს არ მისცეს სხდომაზე დასწრების საშუალება და ეს არ იყო პირველი შემთხვევა, ანალოგიური შემთხვევა იყო რამდენიმე თვის წინაც, როდესაც „კორონა ვირუსის" გავრცელების თავიდან აცილების მიზეზით, ოპოზიციას არ მისცეს სხდომაზე დასწრების მსურველი მოქალაქეების საკრებულოში შემოყვანის შესაძლებლობა, რაც საწყენია, რადგან მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ „დღეს ერთმანეთს ვუღიმით და პატივს ვცემთ", თუ საკრებულოს უმრავლესობას დასჭირდება, შეიძლება ერთმანეთს პატივი აღარ ვცეთ. საუბრის ბოლოს, ცოტნე კობერიძემ სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას მიულოცა დამდეგი ახალი წელი და წარმატებები უსურვა.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ ცოტნე კობერიძის თანხმლები ერთი პირის სხდომაზე დასწრება არანაირ პრობლემას არ წარმოადგენდა. მართალია ეს მას არ ეხება, მაგრამ უნდა ითქვას, რომ, სამწუხაროდ, ყოფილა შემთხვევები, როდესაც მოქალაქეების სხდომაზე დასწრებისას ადგილი ჰქონდა სხვადასხვა სახის პროვოკაციებს და აქედან გამომდინარე, გარკვეული პროვოკაციების მოწყობის თავიდან აცილების მიზნით, საკრებულოს წინა სხდომის მსგავსს სხდომებზე მოქალაქეების დასწრება მიზანშეწონილი არ არის.

ნინო წულაძემ ისაუბრა მისი საკრებულოში ყოფნისას, პარტია „ანა დოლიძე - ხალხისთვის" მიერ, საკრებულოში ინიცირებულ საკანონმდებლო აქტებზე. აღნიშნა, რომ ერთ-ერთი ინიციატივა ეხებოდა კორუფციის ხელშემწყობი სისტემების გამოვლენის სამუშაო ჯგუფის შექმნის მოთხოვნას, რომელიც ევროკომისიის რეკომენდაციების შემდეგ, პირველივე სხდომაზე გაუზიარა საკრებულოს წევრებს, რათა საკრებულოს, როგორც თბილისის წარმომადგენლობით ორგანოს, მონაწილეობა მიეღო ამ რეკომენდაციების შესრულების პროცესში, რაც, სამწუხაროდ არ მოხერხდა. მისი თქმით, ვაკის პარკში მომხდარი ტრაგედიის შემდეგ, ასევე, პირველები იყვნენ, ვინც ქმედითად და საქმიანად წარმოადგინა უსაფრთხოების აუდიტის განხორციელების პროცედურა საჯარო სივრცეებში და თბილისში არსებულ ყველა დასასვენებელ-რეკრეაციულ სივრცეში იმისთვის, რომ მოქალაქეებს დაბრუნებოდათ უსაფრთხოების განცდა. ამის შემდეგ, იყო თბილისის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც, საკრებულოს ოპოზიციამ წარადგინა ერთობლივი რეკომენდაციები და შენიშვნები, თუმცა ამ პროცესშიც არ მოხდა მათი შეფასებების და რეკომენდაციების გათვალისწინება. ნინო წულაძემ ისაუბრა იმ პრობლემებზე, რომელიც აწუხებს მოსახლეობას, თუმცა მათი გადაჭრის გზები ასახული არ არის მომდევნო წლის ბიუჯეტში. ესენია: ლიფტების უსაფრთხოება, რაც დღეს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ვერ უძლებს ვერანაირ კრიტიკას და ბიუჯეტიც ვერ პასუხობს იმ

რაოდენობით გამოწვევას, რაც მოცემულია განახლება-რეაბილიტაციის ნაწილში; მარტოხელა მშობლების სტატუსის მქონე პირებისთვის მუნიციპალური ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით სარგებლობა, რასთან დაკავშირებითაც, იმედია, იქნება ბიუჯეტში დამატებითი ცვლილების შეტანის შესაძლებლობა; საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების დაფინანსება, რომლებიც არ არიან არც მრავალშვილიანი ოჯახის წევრები და არც სოციალურად დაუცველები და თუ გვინდა, რომ განვმუხტოთ ფინანსური საფუძვლით სტატუსშეჩერებული სტუდენტების რაოდენობა, კარგი იქნება, მუნიციპალიტეტის მხრიდან დაფინანსების რაღაც მოდელის შემუშავება ასეთი კატეგორიის სტუდენტებისთვის; მართალია ბიუჯეტი ითვალისწინებს ვეტერანების დახმარების პროგრამას, მაგრამ მათი რაოდენობის კლებამ გამოიწვია პროგრამის დაფინანსების კლებაც და საქართველოში არსებული ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე, ამ ადამიანებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა ენიჭებოდეს მუნიციპალიტეტის მხრიდან; დღეს, ტრანსპორტის კუთხით არსებული პრობლემების შემდეგ, რაც ყველაზე მეტად აწუხებს მოსახლეობას, არის ცხოველების საკითხი და კარგი იქნება, თუ 2023 წელი იქნება ის გამონაკლისი, როდესაც ეს პრობლემა სტრუქტურულად გადაწყდება და სულ მცირე, გეგმა მაინც გვექნება, როგორ ვებრძოლოთ ცხოველთა გაზრდილ მიგრაციას. ნინო წულაძემ ასევე, ისაუბრა პიროტექნიკური ნაკეთობების გამოყენების შესახებ დარეგისტრირებულ ინიციატივაზე და იმედი გამოთქვა, რომ 2023 წელს, საახალწლო „ციებ-ცხელების“ დაწყებამდე მაინც მუნიციპალიტეტს ამ მიმართულებით ექნება უსაფრთხოების გეგმა, რათა თავიდან ავიცილოთ ადამიანების დაშავების შემთხვევები. საუბრის ბოლოს, სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას მიულოცა დამდეგი ახალი წელი, წარმატებები უსურვა და იმედი გამოთქვა, რომ 2023 წელი კიდევ უფრო პროდუქტიული იქნება მუნიციპალიტეტისთვის.

ლილე ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ საკრებულოს წინა სხდომაზე მასაც სურდა სხდომაზე დასწრების სურვილის მქონე ერთი ადამიანის საკრებულოში შემოყვანა, თუმცა უარი მიიღო. რაზეც გიორგი ტყემალაძემ უპასუხა: „განსხვავებით ცოტნესგან, თქვენ ნამდვილად მიიღეთ უარი იმიტომ, რომ ის ადამიანი, ვისი შემოყვანაც გინდოდათ, შემჩნეულია გარკვეულ პროვოკაციულ ქმედებებში“. საკრებულოს თავმჯდომარის კომენტარიდან გამომდინარე, ლილე ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომა არის საჯარო და ნებისმიერ საკრებულოში უნდა ისმოდეს ხალხის ხმა, არ აქვს მნიშვნელობა, ადამიანი არის თუ არა პროვოკატორი, მას უნდა ჰქონოდა საკრებულოს სხდომაზე დასწრების შესაძლებლობა და თუ დაარღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს, რეაგირება უნდა მოეხდინა შესაბამის სამსახურს. ლილე ლიპარტელიანმა მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს: „რადგან ასე დაიწყეთ, გაგახსენებთ სუსის აქ ყოფნას და ისინი როგორ მოხვდნენ მაშინ საკრებულოს შენობაში, ერთ-ერთი მიტინგის დროს?“ განაცხადა, რომ შერჩევითია ეს ყველაფერი, რაც არ არის სწორი და კიდევ ერთხელ მიმართა გიორგი ტყემალაძეს: „ძალიან გთხოვთ, მომავალ წელს მაინც გაითვალისწინეთ, რომ საკრებულოს ჰყავდეს თავისი უსაფრთხოების სამსახური, რომელიც უნდა ემორჩილებოდეს საკრებულოს აპარატს და არა მერიას, რომელიც ანგარიშვალდებულია საკრებულოს წინაშე და არასწორია, როდესაც მერიის სამსახური გარკვეულ მითითებებს იძლევა საკრებულოში.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ, იმ მიტინგის დროს, თავისუფლების მოედანზე იყო ათასობით ადამიანი და, უსაფრთხოებიდან გამომდინარე, მიმდებარე შენობებში ჩატარდა გარკვეული პრევენციული სამუშაოები და მიმართა ლილე ლიპარტელიანს: „ამასთან თქვენ რა შუაში ხართ? იქ რომ რამე პროვოკაცია მომხდარიყო, ხომ ისევ ჩვენი, ყველას პრობლემა და ტრაგედია იქნებოდა?“ გიორგი ტყემალაძემ მადლობა გადაუხადა უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებს, რომლებიც, მისი თქმით, ძალიან ბევრს შრომობენ არა საკრებულოსთვის და მერიისთვის, არამედ იმისთვის, რომ თითოეულმა ჩვენგანმა დაიცვას წესრიგი და საკრებულოში, უსაფრთხოების თვალსაზრისით, არ შეიქმნას რაიმე პრობლემა და აქვე, აღნიშნა, რომ მათი მხრიდან არასდროს ჰქონია ადგილი ოდნავ გადაცდომასაც კი.

ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ მათთვის მადლობის გადახდა იქნება ის, რომ გაეზარდოთ ანაზღაურება, რადგან მუშაობენ მინიმალურ ხელფასზე. მან სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას მიულოცა დამდეგი ახალი წელი, ისურვა ქვეყანაში არსებული პოლარიზაციის შემცირება და მალე ახალი წლის ერთმანეთისთვის მილოცვა გამთლიანებულ საქართველოში.

საბა ბუაძის თქმით, საკრებულოს წინა სხდომას რომ მოქალაქეები ესწრებოდნენ, ამას აქვს თავისი სამართლებრივი საფუძვლები და მათ ვერავინ აუკრძალავს აქ ყოფნას, მაგრამ ნამდვილად ვერ მოიწონებს იმ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას, ვის მიერაც არ უნდა იყოს ის მიღებული, რომელიც ისედაც დაძაბული პოლიტიკური ტემპერატურიდან და ფონიდან გამომდინარე, კიდევ უფრო ამწვავებს სიტუაციას. ამას ამბობს არა უკმაყოფილების ან საყვედურის სახით, არამედ მომავლისთვის, რათა თავიდან ავიცილოთ წინა სხდომის მსგავსი სიტუაციები. მისი თქმით, ვნებათა ღელვას იწვევს და პროცესის კონსტრუქციულ რეჟიმში წარმართვას ხელს არ უწყობს ის, რომ საკრებულოში თბილისის მერის მოსმენის შესაძლებლობა გვაქვს წელიწადში მხოლოდ ერთხელ. საკრებულოს წევრები საკმარისზე მეტნი არიან იმისთვის, რომ პოლიტიკური ოპონირება ერთმანეთში შემლონ და კარგი იქნება, თუ მომავალში საკრებულოს უმრავლესობა პარტიულ-პოლიტიკური ნიშნით ადამიანების მობილიზაციას არ შეუწყობს ხელს. საბა ბუაძემ მადლობა გადაუხადა საკრებულოს აპარატს, რომელიც, მისი თქმით, განსაკუთრებით ახალწვეული საკრებულოს წევრებისთვის ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს იმაში, რომ მათ შეფერხების გარეშე მოახერხონ უფლებამოსილების განხორციელება და ასევე, მადლობა გადაუხადა უსაფრთხოების სამსახურს. საუბრის ბოლოს, სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას მიულოცა დამდეგი ახალი წელი და ისურვა, რომ 2023 წელი იყოს უფრო მშვიდი და ნაყოფიერი წელი და საკრებულოს წევრებს მეტად მიეცეთ შესაძლებლობა, „მოიცალონ“ თბილისის საკეთილღეო საქმეებისთვის.

ვლადიმერ ბოჟაძემ თბილისელებს მიულოცა 2023 წლის „ისტორიული“ ბიუჯეტის მიღება, რომელიც, მისი თქმით, ათიათასობით თბილისელის ცხოვრებას რეალურად შეცვლის. მადლობა გადაუხადა იმ ოპოზიციონერ კოლეგას, რომელმაც ბიუჯეტს მხარი დაუჭირა და განაცხადა, რომ სურს ოპოზიციის ამომრჩევლებს შეახსენოს, რომ „მათმა რჩეულებმა, სამწუხაროდ, ამ წელსაც არ მისცეს ხმა ბიუჯეტს“. ვლადიმერ ბოჟაძემ მადლობა გადაუხადა საკრებულოს აპარატის თანამშრომლებს და დაცვის სამსახურს, სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას მიულოცა დამდეგი ახალი წელი და ბედნიერება, მშვიდობა და წარმატებები უსურვა. ვლადიმერ ბოჟაძემ ასევე, ისურვა, რომ 2023 წელი ჩვენი ქვეყნისთვის იყოს წარმატებული და პოლარიზაციის შემცირების წელი.

ზაზა თავაძემ განაცხადა, რომ პარტიული კუთვნილების მიუხედავად, საკრებულოს თითოეული წევრი უნდა ცდილობდეს, რომ მისი წარმომადგენლობა და გადადგმული ნაბიჯი იყოს დედაქალაქის მოსახლეობისთვის წარმატებული და ისურვა, რომ შემდეგი წელი იყოს უკეთესი, უფრო მეტად ნაყოფიერი და კარგი იქნება, რომ საკრებულოს წევრებმა დრო მოახმარონ თავისი პროფესიული უნარ-ჩვევების გამოვლენას და არა ერთმანეთთან დაპირისპირებას. ზაზა თავაძემ ისაუბრა ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ ინიციატივაზე სახალხო ბიუჯეტირებასთან დაკავშირებით, რასაც აქვს საკრებულოს ოპოზიციის მხარდაჭერა, აღნიშნა, რომ მისი ინფორმაციით, ინიციატივა გადაგზავნილია მერიაში და იმედი გამოთქვა, რომ წლის დასაწყისში მოხდება ამ ინიციატივის მიღება, თუ, რა თქმა უნდა, მხარდაჭერილი იქნება საკრებულოს მიერ. მისი თქმით, ამ ინიციატივის მიღებით, თითოეულ თბილისელს ექნება შესაძლებლობა, უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა ბიუჯეტის მინიმუმ 3%-ის, რაც დაახლოებით 50000000 ლარია, მათთვის პრიორიტეტული პროექტების დაგეგმვაში, განხორციელებაში და ბიუჯეტირებაში, რაც, თავის მხრივ, ეხმიანება ევროპულ გამოცდილებას და კარგი იქნებოდა ამ ინიციატივისთვის მხარდაჭერა.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ არა თუ 50000000 ლარი, არამედ რეალურად ბევრად მეტი იხარჯება სწორად საზოგადოების დაკვეთის შესაბამისად. რაც შეეხება ინიციატივას, გადაგზავნილია მერიაში და პრობლემას ვერ ხედავს იმაში, რომ ეს გადაწყვეტილება იქნას მიღებული. მისი თქმით, საკრებულო, ზოგადად, იღებს გადაწყვეტილებებს, რომლებსაც ჩვენ

ყოველდღიურად ხელით ვეხებით და ვხედავთ, განსხვავებით სხვა პოლიტიკური ორგანოებისგან, რომლების გადაწყვეტილებები ორიენტირებულია შედარებით გრძელვადიან შედეგებზე. ფიქრობს, რომ ამ მხრივ, შინაარსობრივად პრობლემა არ არის და შესაძლებელია, მერიასთან ერთად, მივიღოთ გადაწყვეტილება, რა და როგორ იქნება. გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ ეს ერთი წელი ძალიან საინტერესო იყო შედეგობრივად, ასევე, იყო და დღესაც გვაქვს გამოწვევები, თუმცა, უნდა ითქვას, რომ 2023 წლის ბიუჯეტი მნიშვნელოვნად პოზიტიურად არის ორიენტირებული მომავალზე და გვაძლევს შესაძლებლობას, რომ განვახორციელოთ დედაქალაქისთვის მნიშვნელოვანი პროექტები, თუმცა გვერდს ვერ აუვლით იმ დიდ ტრაგედიას, რომელიც იყო 2022 წელს და ყველამ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ტრაგედიები არ ხდებოდეს. მისი თქმით, როგორც ცოტნემ აღნიშნა, „კამერების გარეშე“ სხვანაირია ურთიერთობა, რადგან კამერების წინ, რაღაც მომენტში, „პიარული და პოლიტიკური დღის წესრიგი შემოდის“ გადაწყვეტილებებში და თუ ამისგან მეტწილად თავისუფლები ვიქნებით, თანამშრომლობის კარგ პრეცედენტს შევქმნით. ისაუბრა ანა გოგოლაძის მიერ შშმ პირებისთვის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის შეღავათიანი ტარიფით სარგებლობის ინიციატივაზე და აღნიშნა, რომ საკითხი გაირა თბილისის მერთან, მის მოადგილესთან და შესაბამისი სამსახურის უფროსთან და მდგომარეობა არის ასეთი: ერთი მხრივ, ზოგადად, მოქალაქისთვის სოციალური სტატუსის მინიჭებისას, ერთ-ერთი მთავარი და მნიშვნელოვანი კომპონენტი არის შშმ პირის სტატუსი ანუ შშმ პირების დიდი ნაწილი არის სოციალურად დაუცველი და მეორე მხრივ, ის, რომ ადამიანი არის შშმ პირი, აპრიორი არ ნიშნავს იმას, რომ იყოს უუნარო, ვერ მუშაობდეს ან არ ჰქონდეს შემოსავალი და, საბედნიეროდ, ძალიან ბევრი მაგალითის მოყვანაა შესაძლებელი, როდესაც მკვეთრად გამოხატული შშმ პირებიც კი დასაქმებული არიან საკმაოდ მაღალანაზღაურებად სამსახურებში, რაც ძალიან კარგია. ასევე, არის ერთი, „ცოტა დელიკატური მომენტიც“ - ადმინისტრირების თვალსაზრისით, რაც უფრო მეტი საშეღავათო ბარათი იბეჭდება, მით უფრო მეტად ჩნდება გარკვეული რისკები. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, შევთანხმდით, რომ უახლოეს დღეებში, ავიღოთ ყველანაირი მონაცემი, რაც წარმოდგენას შეგვიქმნის იმაზე, თუ რა წილი მოდის სოციალურად დაუცველების შშმ პირებზე, რათა შემდგომ მივიღოთ რაიმე გადაწყვეტილება ამ მიმართულებით.

ლილე ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ვერ გადაადგილდებიან, გამონაკლისი არის უსინათლოები და შესაბამისად, გამორიცხულია ამ კატეგორიის შშმ პირი მუშაობდეს და ჰქონდეს მაღალი ანაზღაურება, რადგან ასეთები არიან ეტლით მოსარგებლეები ან სარეცელს მიჯაჭვულები და შესაბამისად, ბევრი დასაქმებული ვერ იქნება. იმასთან დაკავშირებით, რომ შეზღუდული შესაძლებლობები მნიშვნელოვნად მოქმედებს სოციალურ ქულაზე, განაცხადა, რომ დღეს არსებული ქულათა დათვლის სისტემით სოციალურ ქულაზე მნიშვნელოვნად მოქმედებს კომუნალური გადასახადები.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ მკვეთრად გამოხატული შშმ პირები არიან, მათ შორის, ეტლით მოსარგებლეები და ძალიან ბევრი მაგალითია იმის, რომ ასეთი ადამიანები დასაქმებულები არიან, მათ შორის, ეტლით მოსარგებლე კოლეგა გვყავდა წლების განმავლობაში და მიმართა ლილე ლიპარტელიანს: „მე რასაც ვამბობ, რომ შშმ პირის სტატუსი მნიშვნელოვანი კომპონენტია სოციალურად დაუცველი სტატუსის, ამ შეფასებაში არ მეთანხმებით?“ რაზეც ლილე ლიპარტელიანმა უპასუხა, რომ ეს არის ერთ-ერთი კომპონენტი, თუმცა, მნიშვნელოვანი არ არის.

ანა გოგოლაძემ აღნიშნა, რომ მის ინიციატივას ახლავს განმარტებითი ბარათი, სადაც წარმოდგენილია რაოდენობრივი გათვლები. მათ მიერ გამოთხოვნილი ინფორმაციის თანახმად, წლევანდელი წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, საუბარია 36000 პირზე. ასევე, გამოთხოვნილი იქნა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენ მათგანს ჰქონდა ასაკობრივი პენსია და შესაბამისად, სარგებლობდა ტრანსპორტში მგზავრობის შეღავათიანი ტარიფით, რამდენი იყო სოციალურად დაუცველი, რამდენი - სტუდენტი და რამდენი - სკოლის

მოსწავლე. აქედან გამომდინარე, დაითვალეს დაახლოებითი მონაცემი და გამოვიდა, რომ 25000 ადამიანი, I, II და III კატეგორიის შშმ პირები, არანაირი საშეღავათო ტარიფით არ სარგებლობენ და თუ ეს გვაინტერესებს, საუბარია 25000 პირზე და შესაბამისად, იმ კატეგორიაში, რომელიც აღნიშნა გიორგი ტყემალაძემ ხვდება დაახლოებით 10000 ადამიანი.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ ამ 25000 ადამიანიდან, შესაძლებელია მნიშვნელოვანი ნაწილი, თავისი ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, არ საჭიროებდეს აღნიშნული შეღავათით სარგებლობას.

ანა გოგოლაძემ განაცხადა, რომ შშმ პირი ნიშნავს განსაკუთრებულ საჭიროებებს და ამ ადამიანებს აქვთ დამატებითი, საკმაოდ მნიშვნელოვანი ხარჯები. საკრებულოს დადგენილებით, საკმაოდ ბევრ ისეთ ადამიანს აქვს მინიჭებული საშეღავათო ტარიფები, ვისაც გარანტირებული სამსახურები აქვთ და შშმ პირების შემთხვევაში, ერთი-ორი გამონაკლისი არ ნიშნავს იმას, რომ ყველა უზრუნველყოფილია გარკვეული სახის შემოსავლით. საუბრის ბოლოს აღნიშნა, რომ გამოდის ვთანხმდებით, რომ შშმ პირებს უნდა ჰქონდეთ ტრანსპორტით მგზავრობის ტარიფზე შეღავათი და შესაძლებელია, რომ მერე გავაკეთოთ დიფერენცირება მკვეთრად და ზომიერად გამოხატული შესაძლებლობების.

გიორგი ტყემალაძემ მიმართა გელა ჩივიაშვილს, რომ ამ საკითხის დეტალური განხილვისთვის, იანვრის პირველ დღეებში მოეწყოს შეხვედრა, ანა გოგოლაძის მონაწილეობით, სადაც საუბარი იქნება, როგორც არგუმენტებზე, ასევე, საფრთხეებზე. აღნიშნა, რომ, რა თქმა უნდა, ყველა შშმ პირი, თავისი მდგომარეობიდან გამომდინარე, საჭიროებს გარკვეულ დამატებით ხარჯებს, თუმცა, ფიქრობს რომ, საბედნიეროდ, ბევრ მათგანს, ფინანსური მდგომარეობის მხრივ, არ უჭირს და მიმართა ანა გოგოლაძეს - „განწყობა არის ის, რომ მე და თქვენ ვართ ერთ პოზიციაზე და მერიას, „კარგი გაგებით“ უნდა დავუმტკიცოთ ჩვენი მოსაზრება და მათგან მოვისმინოთ არგუმენტები. მე გპირდებით, რომ იანვრის პირველ რიცხვებში ამასთან დაკავშირებით მოვაწყობ ერთ შეხვედრას და ამ საკითხს ოპერატიულად გადავწყვეტთ“.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: გელა ჩიავიაშვილი

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: გელა ჩიავიაშვილი

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: მაია დევრისაშვილი

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის გამოყენებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“;

მომხსენებელი: დავით ჩანქსელიანი

7. „ქალაქ თბილისში, აეროპორტის დასახლებაში, სახლი N32-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.009.013.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

8. „ქალაქ თბილისში, ვ.ბაგრატიონის ქუჩა N22-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.05.016.004.02.509) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

9. „ქალაქ თბილისში, თეოდორე მღვდლის ქუჩა N30ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.07.007.003.03.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

10. „ქალაქ თბილისში, მუხრანის ქუჩა N88-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.06.028.017.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

11. „ქალაქ თბილისში, პეკინის გამზირი N41გ-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.012.029) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და შპს „ალმას“ (ს/ნ.: 204873388) შორის 2021 წლის 19 აგვისტოს დადებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის შესახებ“ და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროს ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის შესახებ“ ხელშეკრულებებში ცვლილების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

13. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

14. „დედაქალაქის მიწათსარგებობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

15. „ქალაქ თბილისში, გიორგი მდივანის ქუჩა N5, N5ა, N9-ში, მოსკოვის გამზირ N31 ა-ში, (ნაკვეთი N7/29), (ნაკვეთი N7/33), ცენტრალურ ისანი-სამგორში (ნაკვ.07/041), არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.17.11.007.019; N01.17.11.007.602; N01.17.11.007.009; N01.17.11.007.006; N01.17.11.007.008; N01.17.11.007.036; N01.17.11.007.007; N01.17.11.007.054; N01.17.11.007.055; N01.17.11.007.065) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

16. „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ.: 204460957) და შპს „ნიუ ბრენდის“ (ს/ნ.: 400170907) მიმართ მისამართზე ქ.თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, IV მ/რ., კორპუსი N12-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ.: N01.10.07.007.173) მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის N668 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

17. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე
თანამომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

18. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე
თანამომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

19. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2023 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ“.

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე
თანამომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა. მან სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას მიულოცა დამდეგი შობა-ახალი წელი და წარმატებები უსურვა. კოლეგებს მადლობა გადაუხადა კომისიებში კონსტრუქციული თანამშრომლობისა და ნაყოფიერი მუშაობისთვის და აღნიშნა, რომ თუ ის სულისკვეთება, რაც გვაქვს კომისიებში, გადმოვა საკრებულოს სხდომაზეც, ვიქნებით უფრო მეტად პროდუქტიულები და კარგი შესახედები, მათ შორის, საზოგადოებისთვის. ლევან ჟორჟოლიანმა ასევე, მადლობა გადაუხადა საკრებულოს აპარატის თანამშრომლებს, რომლებიც ძალიან დიდ შრომას სწევენ საკრებულოს ფუნქციონირებისთვის, ხოლო იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თანამშრომლებს განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა. ისაუბრა წარმოდგენილ საკითხზე და განმარტა, რომ წარმოდგენილი და მომდევნო პროექტი ეხება საშტატო ნუსხების დამტკიცებას, რაც აუცილებელია 2023 წლის ბიუჯეტიდან გამომდინარე მომავალში შესაბამისი ანაზღაურებების გასაცემად. წარმოდგენილი პროექტებით, როგორც მერიის სტრუქტურულ ერთეულებში, ასევე, რაიონების გამგეობებში 10%-ით იზრდება ხელფასები. ამასთანავე, მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხაში, წარმოდგენილია ცვლილება თბილისის მერის შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, რომელიც წლების განმავლობაში, დაფიქსირებული იყო ძველი ხელფასი 3000 ლარი, ხოლო ამ ეტაპზე უთანაბრდება საკრებულოს თავმჯდომარის ხელფასს. ასევე, წარმოდგენილია რამდენიმე განყოფილებაში გადანაწილებები, რაც არაფერს ცვლის თანხობრივად.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა. მან სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას მიულოცა დამდეგი შობა-ახალი წელი და ისაუბრა წარმოდგენილ და მომდევნო საკითხზე. აღნიშნა, რომ სოციალური და ჯანდაცვის მიმართულებით გაზრდილია ბიუჯეტი, რაც მუნიციპალიტეტს საშუალებას მისცემს, რომ ორივე პროგრამის ფარგლებში განხორციელდეს დაახლოებით 400000-მდე ბენეფიციარის მომსახურება. წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია რამდენიმე სიახლე სოციალური დაცვის კუთხით, კერძოდ, დაფინანსება გაზრდილია სხვადასხვა პროგრამებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა და განმარტა, რომ თანხა ემატება აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამას და ამასთანავე, პროგრამა ხდება არჩევითი - მშობელს ემლევა საშუალება, რომ სუპერვაიზერთან შეთანხმებით, თავად აირჩიოს, რომელი სახის თერაპია ესაჭიროება მის შვილს. ასევე, ცვლილება შედის ძუძუს კიბოს დაფინანსების პროგრამაში და რამდენიმე აუცილებელ მედიკამენტზე და ძირითადად, ჰერცეპტინზე, ხდება ფასის დაკლება იქიდან გამომდინარე, რომ ბაზარზე გაიაფდა აღნიშნული პრეპარატი, რაც საშუალებას მოგვცემს, რომ არსებული ბიუჯეტის ფარგლებში მოვემსახუროთ 1.5-ჯერ მეტ პაციენტს.

ვლადიმერ ბოჟაძე დაინტერესდა, თუ რამდენ ბენეფიციარზეა საუბარი და რამდენი ბავშვი იყო მომლოდინეთა რეჟიმში, რომლებიც მომავალი წლის ბიუჯეტით მიიღებენ დაფინანსებას.

გელა ჩივიაშვილმა განმარტა, რომ წლიდან წლამდე იზრდება აუტისტური სპექტრის პროგრამის დაფინანსება. დღეის მდგომარეობით გათვალისწინებული იყო 1550 ბავშვის დაფინანსება, რასაც დაემატება მომლოდინეთა რეჟიმში მყოფი 200-მდე ბავშვი, რომელთა დაფინანსება მოხდება არსებული ბიუჯეტით და ბენეფიციარების რაოდენობა გახდება 1750.

ლილე ლიპარტელიანი დაინტერესდა, ის, რაც აქამდე არსებობდა ბაზისური თერაპიის კუთხით, ამ მხრივ ასაკობრივი ჯგუფები ჩაშლილია თუ მშობლის არჩევის შემთხვევაში, მიიღებს არსებულ თერაპიას. ასევე, დაინტერესდა, შესაძლებელია თუ არა, რომ ბენეფიციარი არჩევითი თერაპიის შემდეგ დაუბრუნდეს ისევ ბაზისურ თერაპიას და რამდენად შესაძლებელია, რომ სუპერვაიზერმა მიიღოს გადაწყვეტილება ბენეფიციარისთვის თერაპიის რაოდენობის შემცირებაზე.

გელა ჩივიაშვილმა განმარტა, რომ პროგრამა არის არჩევითი: ერთი არის ბაზისური, რომლის შემთხვევაში არაფერი იცვლება და ყველაფერი რჩება იგივე, ხოლო მეორე არის ინდივიდუალური განვითარების გეგმა და იმ შემთხვევაში, თუ მოხდება ამ გეგმის არჩევა, თერაპიებს ირჩევს მშობელი, სუპერვაიზერთან შეთანხმებით და ამ შემთხვევაში კარგი არის ის, რომ უკვე შესაძლებელია თერაპია ჩატარდეს არა შენობაში, არამედ ნებისმიერ ადგილას, სადაც, ბავშვის საჭიროებიდან გამომდინარე, მას სჭირდება ადაპტაცია. ბაზისურ თერაპიებზე არის არაუმეტეს 20 თერაპიისაა ანუ თუ ირჩევს ბაზისურს, აქ საუბარია აბა თერაპიას პლუს ალტერნატიული თერაპიები, ხოლო ის, რაც არის ჩაშლილი დღეს მოქმედი ასაკობრივი ზღვრების მიხედვით, რჩება აბსოლუტურად იგივე. გელა ჩივიაშვილმა ასევე, განმარტა, რომ არჩევითი თერაპიის შემდეგ ბაზისურ თერაპიაზე დაბრუნება, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, ხოლო სუპარვაიზერის მიერ თერაპიის რაოდენობის შემცირებაზე აღნიშნა, რომ ბაზისური თერაპიის შემთხვევაში აღნიშნულის შანსი არის ნული, რადგან დადგენილება ითვალისწინებს გარანტირებულად 20 თერაპიას.

ზურაბ ჩიკვილაძემ განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტი ამ მიმართულებით დგამს მნიშვნელოვან ნაბიჯს და აღნიშნა, რომ ბოლო ორი თვის განმავლობაში, იყო არაერთი შეხვედრა სპეციალისტებთან, მშობლებთან, სხვადასხვა დაწესებულების ხელმძღვანელებთან და თბილისის მერიამ მიმდინარე სხდომაზე წარმოადგინა პროექტის შეჯერებული ვარიანტი. მისი თქმით, ხშირ, შემთხვევაში, გარკვეული ჯგუფების მხრიდან „დარტყმის ობიექტიც“

არასამართლიანად გახდა გელა ჩივიაშვილი, რომელსაც დიდი მადლობა გადაუხადა იმისთვის, რომ დღეს ეს წესი დასამტკიცებლად წარმოდგენილია საკრებულოში. მან ასევე, მადლობა გადაუხადა ლილე ლიპარტელიანს, რომელიც, მისი თქმით, რეალურად დაინტერესებულია ამ თემით და მიმართა მას: „იყავით დარწმუნებული, რომ ძალიან მკაფიო და კარგი ნაბიჯი იქნება გადადგმული იმ ოჯახებისთვის, რომლების ბავშვებსაც და მოზარდებსაც ესაჭიროება აღნიშნული თერაპია". საუბრის ბოლოს, აღნიშნა, რომ ამასთანავე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მომლოდინეთა რეჟიმში მყოფი ყველა ბავშვი, მომავალი წლიდან, მიიღებს მისთვის განკუთვნილ სერვისს.

ანა კაკაბაძემ მადლობა გადაუხადა გელა ჩივიაშვილს და მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურს იმისთვის, რომ ასე უდგებიან აღნიშნულ საკითხს და განაცხადა, რომ მედიცინა არ არის მათემატიკა და ყველა შემთხვევაში შეიძლება ინდივიდუალური მიდგომა იყოს საჭირო. შესაბამისად, როდესაც იყო სტანდარტი და ყველა პაციენტი ვალდებული იყო მიეღო შეთავაზებული მომსახურება, არ იყო სწორი, ხოლო დღეს შემოთავაზებული გადაწყვეტილება მორგებულია ინდივიდუალურად ყველა ბავშვზე, რომლებსაც სჭირდებათ აღნიშნული მომსახურება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის" ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა კრწანისის რაიონის გამგეობის წარმომადგენელმა მაია დევრისაშვილმა და განმარტა, რომ აღნიშნული წესი გამომდინარეობს თბილისის 2023 წლის ბიუჯეტიდან და ითვალისწინებს თბილისში დანგრეული, საცხოვრებლად გამოუსადეგარი, ასევე, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის ქირით უზრუნველყოფის წესის განხორციელების პირობებს და პროცედურებს. წარმოდგენილი პროექტით წესში შედის მხოლოდ ერთი ცვლილება, კერძოდ, დღეს მოქმედი რედაქციით, გამგეობის საბჭოებს სამ თვეში ერთხელ უწევთ მონიტორინგის განხორციელება და იმ პირობების გადამოწმება, რაც გახდა ქვეპროგრამაში მონაწილეობის საფუძველი, ხოლო წარმოდგენილი ცვლილებით, მონიტორინგი განხორციელდება ოთხ თვეში ერთხელ.

ზურაბ ჩიკვილაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილების საფუძველი გახდა ყველა გამგეობის თხოვნა. მისი თქმით, ამ შემთხვევაში იაქტიურა კრწანისის გამგეობამ, რისთვისაც მადლობა გადაუხადა გამგეობის წარმომადგენელს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის გამოყენებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის

თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა „თბილსერვის ჯგუფის“ წარმომადგენელმა დავით ჩანქსელიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით თანხმობა მიეცემა თბილისის მერიას, რომ 2023 წელს დედაქალაქის დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ნაგავსაყრელი პოლიგონის მოვლა-პატრონობის, თოვლცვენის დროს მარილის მოყრის სამუშაოები და დედაქალაქის დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვა-ამოღების ორგანიზება განახორციელოს „თბილსერვის ჯგუფმა“, რომლის დაფინანსება განხორციელდება 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

7. „ქალაქ თბილისში, აეროპორტის დასახლებაში, სახლი N32-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.009.013.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 80 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2007 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

8. „ქალაქ თბილისში, ვ.ბაგრატიონის ქუჩა N22-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.05.016.004.02.509) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 50 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 1996 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

9. „ქალაქ თბილისში, თევდორე მღვდლის ქუჩა N30ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.07.007.003.03.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 50 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 1975 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

10. „ქალაქ თბილისში, მუხრანის ქუჩა N88-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.06.028.017.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 120 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 1996 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

11. „ქალაქ თბილისში, პეკინის გამზირი N41გ-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.012.029) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 65 კვ.მ. ფართის გადაცემა სამი ოჯახისთვის, რომლებიც 1990-98 წლებიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და შპს „ალმას" (ს/ნ.: 204873388) შორის 2021 წლის 19 აგვისტოს დადებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის შესახებ" და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროს ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის შესახებ" ხელშეკრულებებში ცვლილების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ 2021 წელს გამოცხადებული იყო აუქციონი, სადაც თბილისის ტერიტორია გაყოფილი იყო ორად - მარცხენა და მარჯვენა სანაპირო და ორივე შემთხვევაში გამარჯვებული არის შპს „ალმა", რომელთანაც გაფორმდა გარე რეკლამების განთავსების ხელშეკრულება. ცოტა ხნის წინ, კომპანიამ მიმართა მერიას და ითხოვა ხელშეკრულების დანართის ცვლილება, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: რეალურად ხდება ქალაქის ტერიტორიაზე არსებული 75 ძველი და უსახური სარეკლამო აბრის კონსტრუქციის

მოხსნა, რის სანაცვლოდაც განთავსდება 7 ახალი კონსტრუქცია. აღნიშნულის შედეგად, იხსნება 3500 კვ.მ. სარეკლამო ფართი და შვიდ ახალ კონსტრუქციას ემატება უკვე არსებული ლოკაციები, რაც ზრდის ფართებს, თუმცა, აღსანიშნავია, რომ იხსნება 3500 კვ.მ. და ყენდება 2900 კვ.მ. გარდა იმისა, რომ მოიხსება კონკრეტული 75 ლოკაცია, ასევე, საერთო ჯამში, 655 კვ.მ.-თი მცირდება რეკლამის მოცულობა. აღნიშნულთან დაკავშირებით, წარმოდგენილია ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რომლის თანახმადაც ფასთა შორის სხვაობა ფაქტობრივად არ არსებობს, რადგან კომპანიის სასარგებლოდ არის დაახლოებით 208 ლარი, რომლის მიღებაზეც ის უარს ამბობს. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილია ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელება და ახალი დანართი განისაზღვრება ფაქტობრივი ლოკაციებით.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ ქალაქის მასშტაბით 75 ძველი კონსტრუქციის მოხსნა და ამის სანაცვლოდ 7 ახალი კონსტრუქციის გაჩენა, თუნდაც სადღაც ცოტა ფართის გაზრდით, მისი აზრით, ქალაქგეგმარებითად ცუდი არ არის.

საბა ბუაძემ აღნიშნა, რომ მისთვის გაუგებარია ცვლილების არსი და ისიც, თუ რა მეთოდოლოგიით იხელმძღვანელა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ შეფასების პროცესში, რადგან აუქციონი გამოცხადდა კონკრეტული პირობით, რომ მარცხენა და მარჯვენა სანაპიროზე, კონკრეტულ ლოკაციებზე, უნდა განთავსებულიყო კონკრეტული ტიპის სარეკლამო ბანერები. მისი თქმით, ყველამ იცოდა, თუ სად და რა ტიპის ბანერები უნდა განთავსებულიყო, თუმცა ეხლა ირკვევა, რომ შეიცვალა არა მხოლოდ ლოკაციები, არამედ ბანერების ზომები, რაც, მისი აზრით, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, მათ შორის, ქალაქგეგმარებითად და დაინტერესდა, რამდენად სწორია „პოსტ ფაქტუმ“ ამის ცვლილება. განაცხადა, რომ წარმოდგენილი ცვლილება მიაჩნია ცუდ და ამ კომპანიისთვის სასიკეთო ცვლილებად, რადგან დიდ ბანერებს ათავსებენ საკმაოდ მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებზე და რაც ყველაზე მთავარია, მათი ბანერის ზომები იზრდება. აღნიშნა, რომ ბანერის ზომების ზრდის რაოდენობა საკმაოდ დიდია და დაინტერესდა, საშუალოდ რამდენი პროცენტით იზრდება ბანერის ფართი.

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ როდესაც თბილისის მერიამ გამოაცხადა აუქციონი, დანართად აიღო ის ფაქტობრივი მდგომარეობა, რაც იყო ქალაქში ანუ რეალურად, აუქციონი გამოცხადდა იმ ლოკაციებზე, სადაც იდგა ბილბორდები, თუმცა ბილბორდის კონსტრუქცია არის „ალმას“ საკუთრებაში და აუქციონში რომ გაემარჯვა სხვა კომპანიას, მას მოუწევდა ახალი კონსტრუქციის დადგმა, რასაც შესაძლებელია გამოეწვია კვადრატულობის აცდენა და გადათამაშება, რადგან ვერ დადგავდა ზუსტად იგივეს, რაც იყო. ვინაიდან გაიმარჯვა კომპანია „ალმამ“, მას არ დასჭირდა ახალი ბილბორდების დადგმა და ახალ კონტრაქტშიც გადმოვიდა რეალურად არსებული ძველი კონსტრუქციები და კვადრატულობა. რაც შეეხება შეფასებას, 2021 წელს, როდესაც გამოცხადდა აუქციონი, შეფასება განახორციელა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ, რომელსაც აქვს საკმაოდ მარტივი მეთოდოლოგია - რეკავს გარე რეკლამების ბიზნესში ჩართულ კომპანიებში და კითხულობს, თუ რა არის კონკრეტულ ქუჩაზე 1 კვ.მ. სარეკლამო ბანერის ფასი. შესაბამისად, ახალი შფასებისას ეყრდნობა 2021 წლის დათვლებს და ციფრებს და იქიდან გამომდინარე, რომ ერთი წლის განმავლობაში, შესაძლებელია ფასები შეცვლილიყო, დღევანდელ ფასებს ადარებს თავისივე ძველ დასკვნაში მითითებულ ციფრებს.

საბა ბუაძემ განაცხადა, რომ პრობლემა მდგომარეობს ზუსტად იმაში, რომ 2021 წელს დათვლა განხორციელდა არჩევნების პერიოდში, როდესაც კომპანიის ბანერების 100% დატვირთული იყო, ხოლო 2022 წელს დათვლა მოხდა რამდენიმე თვის წინ, რაც, რა თქმა უნდა ფასებს შორის იძლევა მნიშვნელოვან განსხვავებას. რაზეც ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ აღნიშნული კარგია მუნიციპალიტეტისთვის, რადგან, როდესაც მოთხოვნაა, ფასიც მაღალია.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ აუქციონის პირობის ცვლილება გამოწვეულია იმით, რომ მიგვაჩნია, რომ ქალაქგეგმარებითად ეს უკეთესია ამ შემთხვევაში და არც ფინანსური ზარალი აქვს მუნიციპალიტეტს.

საბა ბუაძის თქმით, ზარალი პირობითი ცნებაა, რადგან შეიძლება მუნიციპალიტეტს არ აქვს ზარალი, მაგრამ აქვს მიუღებელი შემოსავალი იმიტომ, რომ მნიშვნელოვნად იზრდება ყველა ბანერის ზომა. აქედან გამომდინარე, ვერ დაიჯერებს იმ სურათს, რასაც გვაძლევს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შეფასება და დარწმუნებულია, რომ ხელშეკრულების ცვლილება არის კომპანიის სასიკეთოდ, ისევე, როგორც ყველა ურთიერთობა „ვისოლ ჯგუფთან" მთავრდება მათ სასიკეთოდ. საბა ბუაძემ განაცხადა, რომ „ეს ხალხი არის უსინდისო, დედაქალაქის საზიანოდ ყველაფრის მკადრებელი და ეს შემთხვევაც არის სხვების იდენტური". მისთვის გაუგებარია, რატომ ვუწყობთ ხელს ამ ადამიანებს და ამ ბიზნეს ჯგუფს ამ ყველაფერში და დამატებითი შემოსავლის მიღებაში, რისი მაგალითია ეს საკითხიც, რადგან ყველამ, ვისაც ბანერი უქირავებია, იცის, რომ ფასის დაანგარიშება ხდება ბანერის ზომიდან გამომდინარე და წარმოდგენილი ცვლილებით გაზრდილია ფაქტობრივად ყველა ბანერის ზომა. აღსანიშნავია ისიც, რომ ბანერების ზომები გაზრდილია საკვანძო ადგილებში - სადაც ჰქონდათ ყველაზე ძვირადღირებული ბანერები.

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ მართალია გაიზარდა ბანერის ზომები, თუმცა გასაქირავებელი ჯამური კვადრატულობა შემცირდა 655 კვ.მ.-თი, რის შედეგადაც ერთი ბანერი არის დაახლოებით 12 კვ.მ. რაც შეეხება იმას, რომ ბანერის ზომები გაიზრდა საკვანძო ადგილებში, განაცხადა, რომ ასე ვერ ვიტყვით, რადგან ბანერები მოხსნილია ვაჟა-ფშაველას, ქეთევან წამებულის და ჭავჭავაძის გამზირებზე.

ოთარ გრიგოლიამ განაცხადა, რომ ამ ტიპის გრძელვადიან ხელშეკრულებებში რაც უფრო ნეკლებ ცვლილებას შევიტანთ, მით უფრო ნაკლები იქნება ამ ტიპის პოლემიკები და მიმართა ირაკლი თავართქილაძეს: „იქნებ რაღაცნაირად შევამციროთ აღნიშნული".

ირაკლი თავართქილაძე დაეთანხმა ოთარ გრიგოლიას და აღნიშნა, რომ, რა თქმა უნდა, მუნიციპალიტეტისთვისაც უფრო კომფორტულია ის, რომ იყოს რაც შეიძლება ნაკლები ცვლილება.

ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ საკრებულო საკმაოდ დიდი ხანია განიხილავს წარმოდგენილ საკითხს, ჰქონდა გარკვეული შენიშვნები, მათ შორის, სამართლებრივ საფუძვლებში იურიდულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ შეიტანა შესაბამისი შესწორებები და აღნიშნული კვალიფიცირდება არა როგორც ხელშეკრულებაში ცვლილება, არამედ, როგორც აუქციონის პირობებში ცვლილება იქიდან გამომდინარე, რომ რეალურად ასეა და მხოლოდ ხელშეკრულებიდან გამომდინარე არ ხდება რაღაც ვალდებულებების ცვლილება ანუ ეს არის ფუნდამენტური ცვლილება, რაზეც ყველა ვთანხმდებით. აქვე განმარტა, რომ მცირდება კვადრატულობა, ხოლო რეალურად, აუქციონზე ფული გადახდილია სწორედ კვადრატულობაში და ამასთანავე, დანართებში არის საკმაოდ დიდი ბანერები, რომლებიც მუნიციპალიტეტმა უკვე მოახსნევინა კომპანიას, რაზეც მას, ერთი წლის განმავლობაში, არ უდავია და არ მოუთხოვია ზიანის ანაზღაურება. რეაბილიტაციიდან გამომდინარე, ასეთი ბანერები არის ქეთევან წამებულის გამზირზე, მარშალ გელოვანზე, სადაც სასამართლო დავაა მერიასა და სხვა კერძო პირს შორის, რომელიც ამბობს, რომ მას ეკუთვნის იქ რეკლამის განთავსების უფლება, რის გამოც გამოყენებულია უზრუნველყოფის ღონისძიება და შესაბამისად, „ალმას" შეჩერებული აქვს რეკლამის განთავსების უფლება. ასევე, არის გარკვეული ობიექტები, მაგალითად ჭავჭავაძეზე, სადაც, მერიამ კომპანიას ბანერები მოახსნევინა მანამ, სანამ დაიწყებოდა რეაბილიტაცია და ზოგადად, არის ბევრი ისეთი ბანერი, რომელზეც კომპანიას შეეძლო მოეთხოვა ზიანის ანაზღაურება. მისი თქმით, არავინ ამტკიცებს იმას, რომ რამე წაგებაში წავიდა კომპანია, თუმცა, ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია არა წაგება-მოგება, არამედ ის, რომ ფინანსური დისბალანსი ხომ არ გვაქვს იმ თანხიდან გამომდინარე, რაც კომპანიამ გადაიხადა 15 წლიან აუქციონში, ხოლო ის, თუ რას გააქირავებს ძვირად და

რას იაფად, ამაში მუნიციპალიტეტი არ ერევა. ლევან ჟორჟოლიანმა აქვე ისიც აღნიშნა, რომ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ის, რომ 7 ახალი ბანერი დაიდგმება ახალი კანონმდებლობის შესაბამისად, ხოლო ძველ ბანერებთან მიმართებაში, გაკეთდა ერთგვარი ლეგალიზება და არ იყო სტანდარტების შესაბამისი. მისი თქმით, ახალი ბანერები დაიდგმება სტანდარტების შესაბამისად და ასევე, სტანდარტების შესაბამისად განხორციელდება ცვლილებებიც. განაცხადა, რომ, როგორც მისთვის ცნობილია, კომპანიამ მერიაში მიიტანა რამდენიმე ათეული ახალი ბანერი, რომელთაგან მხოლოდ 7-ზე ეთქვა თანხმობა არქიტექტურის სამსახურის მიერ. მისი თქმით, ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ქალაქს, ურბანულად მიაჩნია, რომ ძველი 75 კონსტრუქციის მოხსნა არის მიზანშეწონილი.

საბა ბუაძემ განაცხადა, რომ საკითხი ნამდვილად პრობლემურია და ამიტომ საინტერესოა, როგორ ითვლება ბანერის ფასი. მისი თქმით, როდესაც ვსაუბრობთ, რომ ვითვლით კვადრატულობით, უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრალურ და უფრო გაყიდვად ადგილას 1 კვ.მ. ღირს სხვა ფასი, ხოლო შედარებით ნაკლებად გაყიდვად ადგილას - სხვა ფასი. თუმცა, მისი თქმით, ამ შემთხვევაში, მთავარი არის ის, რომ იცვლება აუქციონის პირობა, რაც არცერთ შემთხვევაში არ არის გამართლებული, რადგან ამ პირობებით რომ გამართულიყო აუქციონი, შეიძლება გვქონოდა აბსოლუტურად სხვა სურათი და ეს არ არის მცირე ცვლილება იმიტომ, რომ იცვლება მნიშვნელოვან ადგილზე არსებული ბანერების ზომები. საბა ბუაძემ კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ „ეს ბიზნეს ჯგუფი ყოველთვის თბილისის ინტერესების საზიანოდ ცდილობს, რომ რაღაცნაირად შემოამვრინოს გადაწყვეტილება... ესეც ნიშანდობლივია, რა პერიოდში ხდება ამ გადაწყვეტილების მიღება“ და მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს: „მინდა გთხოვოთ, თუ არის შესაძლებელი, რომ ეს საკითხი გადავდოთ, რათა ცოტა უფრო ფართო დისკუსიის შესაძლებლობა მოგვეცეს და მომდევნო სხდომაზე მივიღოთ ამაზე გადაწყვეტილება, მე ვიქნები მადლობელი. იმასაც ვხვდები, რომ დიდი ხანია ეს საკითხი შემოსულია, რატომღაც ეხლა მოხდა ამის გააქტიურება და არ მქონდა მოლოდინი, რომ ამ სხდომაზე, წინასაახალწლოდ, მოგვიწევდა ამაზე მსჯელობა და ამიტომ გთხოვთ, თუ შესაძლებელია, გადავდოთ“.

გიორგი ტყემალაძემ მიმართა საბა ბუაძეს: „მიუხედავად თქვენი დიდი ხათრისა, ამ შემთხვევაში გადაწყვეტილება მიღებული გვაქვს და საკითხს ვეღარ ამოვიღებთ დღის წესრიგიდან“.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

13. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ აღნიშნული ცვლილების მიზანს, თავის დროზე, წარმოადგენდა ექსპლოატაციაში მიღებული შენობისთვის პროექტით გათვალისწინებული საზოგადოებრივი დანიშნულების ფართების შენარჩუნება და მისი შემცირების თავიდან აცილება საცხოვრებელი ფართის გაზრდის ხარჯზე. წარმოდგენილი ცვლილებით, ხდება ჩანაწერის დაზუსტება, რომელიც გულისხმობს უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის ამონაწერში მხოლოდ საზოგადოებრივი დანიშნულების ფართის შენარჩუნების ვალდებულების მითითებას და მისი შემცირების აკრძალვას საცხოვრებელი ფუნქციის გაზრდის მიზნით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

14. „დედაქალაქის მიწათსარგებობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით, თბილისის მერის წერილით N12-032236228-03 (თარიღი: 28.12.2022) წარმოდგენილია ერთი წინადადება რომელზეც, საკრებულოს შესაბამისი კომისიების რეკომენდაციით, ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილება მისაღებია.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

15. „ქალაქ თბილისში, გიორგი მდივანის ქუჩა N5, N5ა, N9-ში, მოსკოვის გამზირ N31 ა-ში, (ნაკვეთი N7/29), (ნაკვეთი N7/33), ცენტრალურ ისანი-სამგორში (ნაკვ.07/041), არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.17.11.007.019; N01.17.11.007.602; N01.17.11.007.009; N01.17.11.007.006; N01.17.11.007.008; N01.17.11.007.036; N01.17.11.007.007; N01.17.11.007.054; N01.17.11.007.055; N01.17.11.007.065) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 29000 კვ.მ., სადაც, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, საცხოვრებელი ზონა 6-ის პარამეტრებით, განთავსდება მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი, რომლის მაქსიმალური სართულიანობა განსაზღვრულია 15 სართულით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

16. „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ.: 204460957) და შპს „ნიუ ბრენდის“ (ს/ნ.: 400170907) მიმართ მისამართზე ქ.თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, IV მ/რ., კორპუსი N12-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ.: N01.10.07.007.173) მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022

წლის 23 დეკემბრის N668 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია უკვე მიღებული გადაწყვეტილების ტექნიკური დაზუსტება, კერძოდ, სიმაღლის პრეფერენციის დაკონკრეტება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 3

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

17. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია საკრებულოს მაჟორიტარი წევრების წარმომადგენლობებში თანხობრივი ცვლილებები. იქიდან გამომდინარე, რომ გვაქვს ერთ, ორ, სამ და ოთხოლქიანი სამაჟორიტარო რაიონები, ხოლო ხელფასების ნაწილში არის 10%-იანი ზრდა, საერთო ჯამში მატება გამოგვივიდა 11-12%, რისი მიზეზიც არის ის, რომ ერთოლქიან რაიონებში, მთაწმინდა, კრწანისი და ჩუღურეთში, იქიდან გამომდინარე, რომ ბიუროს ხელმძღვანელი და ოფისის ხარჯი საბაზისოდ მასაც აქვს ისევე, როგორც ორ, სამ ან ოთხოლქიან რაიონს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ გაიზარდოს 2500 ლარით, ოროლქიანის შემთხვევაში - 1500 ლარით, ხოლო სამ და ოთხოლქიანებში - 1000-1000 ლარით. ასევე, 10% ზრდა გვაქვს გათვალისწინებული იმ საკრებულოს წევრების ხარჯების ანაზღაურების კუთხით, რომლებიც არ არიან თანამდებობის პირები, რაც ასევე, ასახულია საშტატო ნუსხაში.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

18. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და განმარტა, რომ საშტატო ნუსხა მტკიცდება ხელფასების 10%-იანი ზრდის გათვალისწინებით, თუმცა აღსანიშნავია, რომ საკრებულოს თავმჯდომარის ხელფასის ზრდა პროცენტულად წარმოდგენილია 10%-ზე ცოტა მეტით, რაც გამოწვეულია იმით, რომ ის უტოლდება თბილისის მერის ხელფასს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

19. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2023 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და განმარტა, რომ ფრაქციებისთვის შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან თანამშრომელთა წლიური ლიმიტი წარმოდგენილია 10%-იანი ზრდის გათვალისწინებით, რათა მოხდეს ხელფასების ზრდა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას მიულოცა დამდეგი შობა-ახალი წელი, წარმატებები, ჯანმრთელობა, მშვიდობა, ბედნიერება, წარმატებული 2023 წელი უსურვა და საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 9 დადგენილება და 10 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი